განმავითარებელი თამაში

რა არის თამაში და რატომ არის ის მნიშვნელოვანი ბავშვისთვის

ბავშვის ჰარმონიული ზრდა-განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თამაშს ადრეულ ასაკში. ბავშვობის ასაკის ძირითადი საქმიანობა თამაშია, რომელიც პატარებისთვის სწავლების ერთადერთი ფორმაა. ადამიანების უმეტესობისთვის სწავლა გულისხმობს სპეციფიური ახალი უნარების შეძენას, მაგ.: ანბანის დამახსოვრებას, დათვლას, წერას და ა.შ. მათ ხშირად მიაჩნიათ, რომ თამაში მხოლოდ გართობისთვის არის და არ გულისხმობს სწავლას. თუმცა, კვლევების თანახმად, ბავშვები სწორედ თამაშით სწავლობენ. ისინი თამაშისას ავლენენ და ავითარებენ უმნიშვნელოვანეს უნარებს - აღმოჩენის, ფანტაზიის და დასკვნების გამოტანის კუთხით. თამაშის პროცესი ბავშვისთვის სასიამოვნო და საინტერესოა, რადგან მას ბედნიერსა და ხალისიანს ხდის - „ბედნიერი ტვინი კი უკეთესად მუშაობს“- ეს არის ბავშვის განვითარების ფუნდამენტური პრინციპი. სიამოვნების მიღებასთან ერთად, თამაში ამზადებს ბავშვს მომავალი ცხოვრებისათვის, მისი მეშვეობით ბავშვი ივითარებს სხვადასხვა ასაკობრივ უნარს განვითარების ყველა სფეროში და ადაპტირდება გარემოსთან.

თამაშის ტიპი, რომელშიც ბავშვები ჩართულები არიან, მიზანმიმართულად იცვლება ჩვილობიდან მოზარდობამდე. მნიშვნელოვანია, ზრდასრულებმა იცოდნენ, თუ როგორ „მუშაობს“ თამაში, რატომ არის ის აუცილებელი და როგორ შევქმნათ თამაშით განვითარების შესაძლებლობები ბავშვებისათვის.

თუ დააკვირდებით ბავშვს თამაშისას, შენიშნავთ, რომ ის მთელი არსებით არის თავის „საქმიანობაში“ ჩართული, გამოხატავს სხვადასხვა სახის ემოციას, იღიმის, ღიღინებს, კონცენტრირებულია და რაც უფრო სასიამოვნოა პროცესი, მით უფრო დიდხანს თამაშობს ბავშვი. უფროსებმა მნიშვნელოვანია უზრუნველყონ თამაშისა და კვლევისთვის თავისუფალი სივრცე და უსაფრთხოება.

უფროსის მიერ ბავშვის თამაშში ჩართულობა

ზრდასრულის მონაწილეობა ბავშვის თამაშში, პირველ რიგში, უნდა გულისხმობდეს პოზიტიურ ინტერაქციას, ბავშვის ემოციური კეთილდღეობის ხელშეწყობას, შემდეგ ეტაპზე კი კრეატიულობისა და პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობების წახალისებას და დახმარებას ახალი აღმოჩენების გაკეთებისა და სიახლეების გაგების პროცესში.

მშობელმა მნიშვნელოვანია, დაიცვას ბავშვის კომფორტის შესაბამისი ფიზიკური დისტანცია, მოთავსდეს ბავშვის თვალის სიმაღლეზე, რომ ადვილად შეძლოს მზერითი კომუნიკაციის დამყარება. მნიშვნელოვანია, რომ უფროსმა უზრუნველყოს, შექმნას ისეთი გარემო, რომელშიც ბავშვი თავისუფალად გამოიკვლევს საგანს, ნაცვლად იმისა, რომ მშობელმა მიუთითოს როგორ გამოიყენოს კონკრეტული სათამაშო.

გთავაზობთ ზრდასრულის მიერ ბავშვის თამაშში ჩართულობისა და განვითარების 5 ძირითად საფეხურს:

1. თავდაპირველად დააკვირდით ბავშვის თამაშს, როგორ იწყებს ის ურთიერთობას სათამაშოსთან, მიეცით, ბავშვს საშუალება თავისუფლად გამოიკვლიოს სათამაშო/საგანი

2. გაახმოვანეთ ბავშვის მოქმედებები, იყავით ემოციურად ჩართული ამ პროცესში, გამოხატეთ აღტაცება ბავშვის ქცევის მიმართ

3. გაიმეორეთ ბავშვის მოქმედებები- ითამაშეთ ისე, როგორც თამაშობს ბავშვი

4. ნელ-ნელა გაამრავალფეროვნეთ ბავშვის თამაში, მასში ახალი იდეების შეტანით, მთავარია შეინარჩუნოთ ძირითადი აზრი, რომელიც ამ თამაშში ბავშვმა ჩადო, დაელოდეთ ბავშვის რეაგირებას. ამ ეტაპზე რაც შეიძლება შემოქმედებითად მიუდექით პროცესს. მაგ.: თუკი ბავშვი აძინებს და არწევს, მშობელმა შეიძლება შესთავაზოს ბავშვს, დააფარონ სათამაშოს საბანი.

5. დაასრულეთ თამაში, როდესაც ბავშვი მიგანიშნებთ, რომ სხვა სათამაშოთი ან საქმიანობით სურს დაკავდეს, უთხარით, რომ ეს თამაში დასრულდა და შესთავაზეთ ერთად შეინახოთ სათამაშოები თავის ადგილას.

ასაკის შესაბამისი უსაფრთხო გარემოს მოწყობა თამაშისთვის

ბავშვისთვის კვლევისა და თამაშის შესაძლებლობის მიცემა ნიშნავს უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას და შესაბამისი რესურსით მომარაგებას:

- სათამაშოები უნდა იყოს ბავშვის ასაკის, განვითარების და ინტერესის შესაბამისი. მაგალითად, 5 წლის ბავშვს აღარ უნდა ჰქონდეს ჟღარუნა სათამაშოები ან ჩვილის ასაკის წიგნები. ბიჭსაც უნდა ჰქონდეს სათამაშოებში თოჯინა და ჭურჭელი, რომ ისწავლოს ფუნქციური თამაში და სოციალური ზრუნვა, ხოლო გოგონას მანქანა და ხელსაწყოები,

- სათამაშოები უნდა იყოს ფერადი და ნათელი,

- სათამაშოები უნდა იყოს უსაფრთხო და გამძლე,

- მცირე ასაკის ბავშვების სათამაშოები არ უნდა შეიცავდეს წვრილ ნაწილაკებს, რაც შეიძლება ბავშვმა გადაყლაპოს.

- ბავშვისთვის, განსაკუთრებით 0- 5 წლამდე ასაკში, მნიშვნელოვანია, განვითარების შესაბამისი და უსაფრთხო სათამაშოები მოთავსებული იყოს სახლის რომელიმე კუთხეში. მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ბავშვს საკუთარი ოთახი, აუცილებელია, მისთვის სივრცის გამოყოფა ან სათამაშო ზონის შექმნა სახლში.

- სასურველია, არ ვუცვლიდეთ სათამაშოებს ადგილს. ბავშვმა უნდა იცოდეს სადაა მისი სათამაშო სივრცე. ეს არ ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია სათამაშოების სხვა ადგილზე გადატანა, თუმცა უნდა იცოდეს, სად დააბრუნოს სათამაშოები თამაშის დასრულების შემდეგ.

- აუცილებელია, სათამაშოები რაიმე პრინციპით იყოს განლაგებული სხვადასხვაა სათავსოში ფუნქციების შესაბამისად (მაგალითად: ფანქრები, კუბიკები, ბურთები, ჭურჭელი, ექიმის ინვენტარი)

- არ არის სასურველი, ბავშვს ერთდროულად ბევრი სათამაშო ჰქონდეს, ეს მას თამაშთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში უშლის ხელს. სასურველია, სათამაშოების სხვადასხვა კატეგორიიდან ბავშვს ჰქონდეს 5-7 სათამაშო (მაგ: მანქანა, ქსილოფონი, ცხოველები, ჭურჭელი, 2 წიგნი...) დანარჩენი სათამაშოები, უმჯობესია, შევინახოთ ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილას და ყოველ 2-3 კვირაში ვცვალოთ

- სასურველია, ყოველ 6 თვეში ან მაქსიმუმ 1 წელში სათამაშოები განახლდეს, დროდადრო გადაყარეთ ყველა გატეხილი, ნაწილებ დაკარგული ან „უსარგებლო“ სათამაშო

განმავითარებელი თამაშის ეტაპები:

განმავითარებელი თამაში 4 ძირითადი ეტაპისაგან შედგება და პირამიდის სახითაა წარმოდგენილი. თამაშის განვითარების ეტაპები დამოკიდებულია ერთმანეთზე. ყოველი მომდევნო ეტაპის განვითარებას განსაზღვრავს წინა ეტაპის წარმატებით გავლა. თუ ჩვენ გვინდა, რომ ბავშვებს ჰქონდეთ შემოქმედებითი აზროვნება და გადაწყვეტილების მიღების უნარი, კარგად უნდა გავიაზროთ განმავითარებელი თამაშის ყოველი ეტაპის მნიშვნელობა. თუ ბავშვს ჯერ კიდევ არ მიუღწევია მისი ასაკის შესაბამის ეტაპამდე, უნდა ვნახოთ, რომელ საფეხურზეა დეფიციტი და შევავსოთ შესაბამისი შრეები.

4. მაღალი დონის თამაში: სოციალური, სიმბოლური, როლური, წესებიანი და „ვითომ-ვითომ “თამაში

3. ორგანიზებული, მნიშვნელობის მიმცემი თამაში

2. შემოქმედებითი კვლევისა და აღმოჩენის თამაში: არეულობა, მოძრაობა, ჩართულობა

1. სენსორულ-სხეულებრივი თამაში და უსაფრთხო მიჯაჭვულობის განმავითარებელი თამაში

თამაშის I ეტაპი - სენსორულ-სხეულებრივი და უსაფრთხო მიჯაჭვულობის განმავითარებელი თამაში

ეტაპისათვის დამახასიათებელია:

ამ ეტაპზე მყოფი ბავშვები აქტიურად იკვლევენ გარემოს შეგრძნებების მიღებისა და გადაადგილების საშუალებით. გარემოზე დაკვირვებით პატარები იღებენ ინფორმაციას სივრცის, მანძილისა და საგნების მახასიათებლების შესახებ. სხვადასხვა შეგრძნებების გააქტიურება ეხმარება ბავშვს ყურადღების კონცენტრირებაში და ქმნის საფუძველს სწავლისათვის საჭირო უნარების ჩამოყალიბებისთვის. ხელში ჭერითა და რწევით ბავშვები შეიგრძნობენ თავიანთ სხეულს სივრცეში. სხეულით კონტაქტი და დარეგულირებული შეგრძნებები აძლევს ბავშვს დაცულობის განცდას და ავითარებს უსაფრთხო მიჯაჭვულობას, რაც მნიშვნელოვანია ბავშვის ემოციური კეთილდღეობისთვის.

განვითარების სტრატეგიები მომვლელის მხრიდან:

- წაახალისეთ კომუნიკაცია, ცვალეთ ხმის ინტონაცია, სახის გამომეტყველება, უპასუხეთ ბავშვის ღუღუნსა და სხვადასხვაგვარ ხმებს ისე, თითქოს, ეს დიალოგი იყოს თქვენს შორის
- გაუღიმეთ ხშირად, დააკავშირეთ ახალი გამოცდილება სიამოვნებასთან
- ბავშვისთვის მნიშვნელოვანია მშობელთან ფიზიკური სიახლოვე, ამიტომ ხშირად აიყვანეთ ხელში, მიეცით მის სხეულს სხვადასხვა სივრცეში ყოფნის გამოცდილება, დაიწვინეთ გულზე, პერიოდულად დააწვინეთ შედარებით მყარ ზედაპირზე მუცლით (მატრასი ან საბავშვო ხალიჩის ზედაპირი), აიყვანეთ და მიიხუტეთ მკერდზე ხშირად, ხელის ნაზი და რიტმული მოძრაობით, გაუკეთეთ მსუბუქი მასაჟი და ა.შ.
- პირველ თვეებში თავის დაჭერისა და ხელებზე დაყრდნობის უნრების გასაუმჯობესებლად, ბავშვის სიფხიზლისას, დროდადრო მისი მუცელზე დაწვენა და ასე თამაშია მნიშვნელოვანი, შემდეგ თვეებში კი, დამოუკიდებლად ჯდომისა და ხოხვის წასახალისებლად, იატაკზე თამაშის დრო ხდება ძალიან მნიშვნელოვანი
- ეთამაშეთ სარკესთან, მიიღეთ სასაცილო სახეები და დაელოდეთ ბავშვმაც გაიმეოროს იგივე
- გამოიყენეთ მუსიკალური ხმა და ძილისპირულის რიტმი ბავშვთან ურთიერთობისას
- მიაწოდეთ ისეთი სათამაშოები, რაც უსაფრთხოა პირში ჩასადებად
- სხვადასხვა ტექსტურის საგნებთან შეხება, როგორიცაა მეტალი, ბუმბული, თიხა, ქაფი ავითარებს შეგრძნებებს. შესთავაზეთ სხვადასხვა ზომის, ფერის და ფორმის საგნები, რომ ბავშვი მიწვდეს და ჩაეჭიდოს მათ
- წაუკითხეთ მარტივი წიგნები, აღუწერეთ ნახატები, გაუხმოვანეთ სხვადასხვა ხმები: ცხოველების, ტრანსპორტის და გარემოში არსებული სხვა ხმები - რათა მეტი ინფორმაცია ჰქონდეს მათ შესახებ
- ეთამაშეთ „ჭი-ტა“, “ მოვიდა-მოვიდა, წაახალისეთ ბავშვი, რომ იპოვოს ნაჭრის ქვეშ დამალული საგანი
- ემოციური რეგულაციისთვის, შესთავაზეთ საშუალო ზომის რბილ სათამაშოებთან „ჩახუტება“ და ძილი
- მყარი ავეჯი, ბურთები, სათამაშოები და ყუთები - საგნები ეხმარება ბავშვს ცოცვის, დგომისა და სიარულის განვითარებაში

თამაშის ეტაპი II - შემოქმედებითი კვლევა და აღმოჩენა:
არეულობა, მოძრაობა, ჩართულობა

ეტაპისათვის დამახასიათებელია:

ამ ეტაპზე ბავშვები კიდევ უფრო აქტიურად იკვლევენ გარემოს, მეტად დამოუკიდებლები ხდებიან ფიზიკურად და უკვე სივრცეში გადაადგილების საშუალებით იწყებენ არსებული სამყაროს კვლევას. ბავშვები მიზანმიმართულად ამოძრავებენ სათამაშოებს, რათა გამოიწვიონ ხმა, იატაკზე ხოხავენ იმისათვის, რომ მიწვდნენ სასურველ სათამაშოს, ინტერესდებიან სათამაშოებით, რომლებიც მარტივი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების აღმოჩენაში ეხამრება. ბავშვებს უჩნდებათ მათ გარშემო არსებულ ადამიანებსა და საგნებზე ზემოქმედების მოხდენის უნარი: შეუძლიათ ისროლონ სათამაშოები, ღიმილითა და ჟესტებით გამოიწვიონ უფროსი სათამაშოდ, დაითხვარონ საჭმლით,, მოსინჯონ როგორ ხმებს გამოსცემს სამზარეულოს ჯამ-ჭურჭელი და ა.შ. ასევე, ბავშვები სწავლობენ საგნების ფუნქციურ მახასიათებლებს, უვითარდებათ კრეატიულობა.

განვითარების სტრატეგიები მომვლელის მხრიდან:

- შესთავაზეთ სათამაშოები, რომელთა ამუშავება შეგვიძლია ზონარის გამოქაჩვით, ღილაკების ტრიალით ან თითის დაჭერით
- მიეცით საშუალება დაითხვაროს, აძვრეს, დასუნოს. გაუხმოვანეთ ის შეგრძნებები, რასაც ბავშვი იღებს სხვადასხვა სათამაშოსთან და საგანთან ურთიერთობით
- გამოხატეთ ინტერესი და აღფრთოვანება ბავშვის აღმოჩენების საპასუხოდ
- აგრძნობინეთ, რომ გესმით მის მიერ ნათქვამი სიტყვები, როგორც არ უნდა ცდილობდეს ის გამოთქმას, მიეცით დრო გამოხატოს საკუთარი აზრი
- შესთვაზეთ სათამაშო ცომი, თიხა და საღებავები, ქვიშა და წყალი, როგორც სენსორული გამოცდილების მიღების საშუალება
- წაახალისეთ სათამაშო კუბების ერთმანეთზე დაწყობა და შემდეგ აშენებულის დანგრევა
- ხელი შეუწყვეთ ბავშვის ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებას: შესთვაზეთ ბუშტები, ბურთები, ბალიშები, გასაძრომი რგოლები, კონტეინერები სათამაშოების გადმოსაყრელად და ჩასაყრელად, დიდი ყუთები ჩასაძრომად, თოკები და სხვა მსგავსი საგნები, შესთვაზეთ, სხვადასხვა რიტმული მოძრაობების გამეორება , მუსიკის ფონზე

თამაშის III ეტაპი - ორგანიზებული, მნიშვნელობის მიმცემი თამაში

ეტაპისათვის დამახასიათებელია:

ამ ეტაპზე ბავშვებს უჩნდებათ სურვილი თავი მოაწონონ ზრდასრულებს და გავდნენ კიდეც მათ, ამიტომ აქტიურად ცდილობენ მიბაძონ „დიდებს“ და საკუთარ შესაძლებლობებში დასარწმუნებლად „ეხმარებიან“ მათ ისეთ ყოველდღიურ საქმიანობაში, როგორიცაა საჭმლის მომზადება, დალაგება, საყიდლებზე წასვლა და ა.შ. ამ ეტაპზე ბავშვებს შეუძლიათ რაიმე ნიშნის მიხედვით საგნებისა და სათამაშოების დაჯგუფება, თანმიმდევრობით დალაგება, შედარება და დახარისხება, იწყებენ ხატვას და საკუთარი იდეების სიმბოლურ წარმოდგენას. ასევე, დამახასიათებელია განმეორებითობა: თამაშობენ ერთსა და იმავე თამაშს, ან განმეორებით უყურებენ ერთსა და იმავე ანიმაციას, რადგან თანმიმდევრობა, განმეორებითობა, სტრუქტურა და „აზრის“ მიცემა მათთვის, ამ ეტაზე, მნიშვნელოვანია. ამ დროს ვითარდება ორგანიზებულობის, დაგეგმვის და პრობლემის გადაჭრის უნარებიც.

განვითარების სტრატეგიები მომვლელის მხრიდან:

- ჩართეთ და დაიხმარეთ ყოველდღიურ საქმიანობაში, მიეცით საშუალება იყოს „დიდი“, შესთვაზეთ სხვადასხვა ზომის კოლოფები, ხის კოვზები, ჯოხები, ქვაბები და ძველი ტანსაცმელი

- შეურჩიეთ მარტივი ფაზლები, ლეგოები და საბავშვო დომინოს მსგავსი სათამაშოები

- საძერწი ცომითა და თიხით თამაში უკვე მიზანმიმართული აქტივობაა და არა მხოლოდ სენსორული სტიმულაციის წყარო, ამიტომ ძერწეთ სხვადასხვა საგნები

- სათამაშო კონსტრუქტორების გამოყენებით, ააშენეთ კოშკები და ხიდები

- თამაშისას სთხოვეთ, მოგაწოდოთ ისეთივე ცხოველი, კუბიკი და სხვა, როგორსაც აჩვენებთ. მიეცით საშუალება ბავშვს დააჯგუფოს საგნები და სათამაშოები რაიმე ნიშნის მიხედვით, დაალაგოს თანმიმდევრობით, შეადაროს და დაახარისხოს ნივთები

- შესთვაზეთ სათამაშოები, რომლის გამოყენებითაც ითამაშებენ იმას, რასაც ყოველდღიურობაში საკუთარ თავზე ცდიან, მაგ.: აძინებს ან აჭმევს თოჯინას, აბანავებს ან სიცხეს უზომავს დათუნიას და ა.შ.

- შექმენით პატარა გამოწვევები თამაშისას, მაგ.: ფაზლის აწყობისას არასწორად მიაწოდეთ ნაწილი, ზოგჯერ იმოქმედეთ შეცდომით, გააკეთეთ რაიმე არასწორად, მაგ.: სცადეთ პირამიდის რგოლების არასწორი თანმიმდევრობით აცმა და მიეცით ბავშვს საშუალება თქვენი შეცდომა გამოასწოროს, ეს დაეხმარება მას თანმიმდევრულობისა და ორგანიზებულობის უნარის განვითარებაში

- არ შესთავაზოთ მზა იდეები პრობლემის მოსაგვარებლად; წაახალისეთ ბავშვი დამოუკიდებლად გადაჭრას პრობლემა, აცადეთ, რომ მოიფიქროს უფრო ეფექტური გზა სასურველი მიზნის მისაღწევად

- აუცილებლობის შემთხვევაში, დაუსვით შეკითხვები, რომელიც დაეხმარება გამოსავლის მოძიებაში, მაგ.: რაზე დავდგეთ, რომ კარადიდან სათამაშო ჩამოვიღოთ?

- წაახალისეთ თანმიმდევრულობა თამაშისას, მაგ.: რომელი კუბიკი დავდოთ ჯერ კოშკის ასაშენებლად? რა დაგვჭირდება იმისათვის რომ დავხატოთ/გამოვძერწოთ?

თამაშის IV ეტაპი - მაღალი დონის თამაში:
სოციალური, წარმოსახვითი, როლურ - სიუჟეტური და წესებიანი თამაში

ეტაპისათვის დამახასიათებელია:

ამ ეტაპზე ბავშვები ავითარებენ თავიანთ სოციალურ და ემოციურ უნარებს უფრო ფართო სოციალურ წრეში, მათ შორის, სხვა ზრდასრულებთან და ბავშვებთან ურთიერთობით. გაზრდილი ლექსიკური მარაგის, ფიქრისა და დაგეგმვის უნარის დახმარებით, მათ მეტად შეუძლიათ დალოდება, უვითარდებათ სხვების აზრის გათვალისწინების უნარი, იღებენ „გადაწყვეტლებებს“ სხვებთან ერთად. თამაშის განვითარების ამ ეტაპზე ბავშვებისთვის დამახასიათებელია წარმოსახვის განვითარება, მათ შეუძლიათ მოიგონონ ისტორია, წარმოიდგინონ და იფიქრონ „რა იქნება თუ...“ უვითარდებათ წარმოდგენები სხვადასხვა როლისა და ცხოვრებისეული მოვლენის შესახებ, შეუძლიათ პრობლემის კომპლექსური გადაწყვეტა, იწყებენ წესების გაგებას, შეუძლიათ გუნდურად თამაში, ურთიერთობა და სწავლა.

განვითარების სტრატეგიები მომვლელის მხრიდან:

- ხელი შეუწყეთ წარმოსახვითი და როლურ-სიუჟეტური თამაშის განვითრებას, როგორიცაა ექიმობანა, პოლიციელობანა და ა.შ. ჩაერთეთ დრამაში, რომელიც ბავშვმა წამოიწყო. გახდით რომელიმე გმირი და განასახიერეთ ის. გამოდით მშობლის როლიდან და შედით თქვენს მიერ გასასახიერებელი გმირის როლში

- წარმოსახვით თამაშში შექმენით მოულოდნელი სიტუაციები, იმისათვის რომ გამოიწვიოთ ბავშვის კრეატიულობა და უბიძგოთ ახალი გადაწყვეტილებებისკენ; წარმოსახვითი თამაშისას ასევე შეგიძლიათ, შეიტანოთ კონფლიქტური სიტუაციის ელემენტებიც, რათა ბავშვს დაეხმაროთ კონფლიქტის გადაჭრის გზების მოძიებაში; თამაშისას გამოიყენეთ იუმორი და იდიომატური (გადატანითი მნიშვნელობის მქონე) ფრაზები, დაეხმარეთ ბავშვს მათი მნიშვნელობის გააზრებაში.

- წაახალისეთ ბავშვი გააგრძელოს ამბავი ღია ტიპის კითხვების, - „რატომ?“ „როგორ?“, „საიდან?“, „რისთვის?“ - დასმის მეშვეობით.

- წაახალისეთ ბავშვი ისაუბროს განცდებზე/გრძნობებზე, როგორც წარმოსახვითი თამაშისას, ისე ჩვეულებრივი საუბრისა და მსჯელობისას.

- გამოიწვიეთ ბავშვი, რომ ივარაუდოს სხვისი ქცევის მიზეზი, მოტივი ან ემოცია - „რატომ ვერ მიხვდა სალი თოჯინა მარიმ რომ აიღო?“, „როგორ იგრძნო სალიმ თავი, როდესაც მარიმ სათამაშო წაართვა?“, „როგორ გრძნობს თავს მარი?“

- წაახალისეთ გამოხატოს საკუთარი შეხედულება („რომელი ფერი მოგწონს ყველაზე მეტად და რატომ? ნაცვლად იმისა, რომ კითხოთ „რომელი ფერია ეს?“)

- მოელაპარაკეთ ბავშვებს, წაახალისეთ არგუმენტირებული დებატები, ნაცვლად იმისა, რომ წესების ბრმად მორჩილება მოსთხოვოთ (თუმცა, გვახსოვდეს ისიც, რომ ზოგიერთი წესი აუცილებლად დასაცავია და განხილვებს არ ექვემდებარება)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. “Floortime: tuning in to each child” by Stanley I. Greenspan, Sara Wilford, Sheila Hanna, Scholastic Inc., 1990

2. “The Right Stuff for Children Birth to 8: Selecting Play Materials to Support Development” by Martha B. Bronson, 1995

3. “Infants and toddlers: developmental and program planning” by Penny Low Deiner, 1997

4. ICDL Clinical Practice Guidelines, Chapter 12: Developmentally Appropriate Interactions and Practices by Stanley I. Greenspan, M.D. and Serena Wieder, Ph.D., 2003

5. “Play types” © Play Wales, 2017

6. “Developmental Play: A new approach to understanding how all children learn through play”, by Caroline Essame, 2020